2018

საქართველოს
დემოკრატიული
ინიციატივა

ადამიანის უფლებები საქართველოში

ადამიანის უფლებები საქართველოში

2018

წარმოგიდგენთ GDI-ს მიერ მომზადებულ მიმოხილვას, რომელიც ასახავს ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობას საქართველოში 2018 წლისათვის და გამოყოფს იმ ძირითად პრობლემებსა და ხარვეზებს, რომელიც ამ მიმართულებით გამოიკვეთა საანგარიშო პერიოდში ან წარმოიშვა მანამდე, თუმცა გაგრძელდა 2018 წელსაც.

დოკუმენტში მიმოხილულია სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებთან (გამოხატვის თავისუფლება; შეკრება-მანიფესტაციის თავისუფლება, საარჩევნო უფლება), თანასწორობასა და კანონის უზენაესობასთან დაკავშირებული საკითხები. აქცენტი გაკეთებულია, როგორც უფლებათა დარღვევის ფაქტებზე და ასეთ ფაქტებთან დაკავშირებით სხვადასხვა სახელისუფლებო ორგანოს რეაგირებაზე, ასევე ხარვეზიან კანონმდებლობაზე.

ხაზგასასმელია, რომ 2018 წელს რიგი მიმართულებებით დაფიქსირდა ადამიანის უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება. ეს განსაკუთრებით ეხება შსს-ს მიერ ოჯახში ძალადობისა და ქალთა წინააღმდეგ ძალადობის აღმოფხვრის კუთხით გატარებულ ღონისძიებებს და შესაბამის პოზიტიურ შედეგებს. მაგალითად, სანქციის გამკაცრება ოჯახში ძალადობის პირველივე შემთხვევაზე[1], გამოძიებისა და სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების, ისევე როგორც შემაკავებელი ორდერის გამოცემის გაზრდილი მაჩვენებელი, ფემიციდის შემთხვევების კლება და ა.შ.

მიუხედავად ამისა, კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება სასამართლო სისტემაში არსებული მძიმე პრობლემები, რაც ხელს უშლის სამართლიანი სასამართლოს უფლებით სრულფასოვნად სარგებლობას და იწვევს მართლმსაჯულებისადმი უნდობლობას. მეტიც, სასამართლო ხელისუფლების წინაშე არსებული სისტემური ხარვეზები უარყოფით გავლენას ახდენს ზოგადად ადამიანის უფლებათა მდგომარეობაზე ქვეყანაში. სწორედ ამის შედეგია ის, რომ სასამართლოსადმი ნდობა საზოგადოებაში საკმაოდ დაბალია. კერძოდ, ბოლო კვლევების თანახმად, სხვადასხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინსტიტუტს შორის, ყველაზე დაბალი ნდობა სასამართლოს, პროკურატურის და პარლამენტის მიმართ დაფიქსირდა, ამასთან, 2014 წლის მონაცემებთან შედარებით, სასამართლოს მიმართ საზოგადოების ნდობა და განწყობები გაუარესებულია.

ამავდროულად, მკვეთრი გაუარესება შეინიშნება ისეთი სამოქალაქო უფლებებით სარგებლობასთან დაკავშირებით, როგორიცაა გამოხატვის თავისუფლება (მაგ. „აიისას“ საქმე, ზვიად კუპრავას საქმე, რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფისათვის დასჯადობის შემოღების ტენდენცია) და შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება („შვილმოკლული

[1] კანონპროექტი გადაცემულია პლენარულ სხდომაზე მესამე მოსმენით განხილვისათვის <https://info.parliament.ge/#law-drafting/15816 >

მამების" აქციაზე კარვების გაშლის აკრძალვა, ბასიანის სპეცოპერაცია). აქვე საყურადღებოა 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს (განსაკუთრებით მეორე ტურის წინასაარჩევნო პერიოდში) დაფიქსირებული ამომრჩეველთა მოსყიდვის მასშტაბური შემთხვევები.

სამწუხაროდ, 2018 წელს საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით წინასაარჩევნო პერიოდმა მომეტებული აგრესიული კამპანიის, საზოგადოების პოლარიზებისა და დაპირისპირებების ფონზე ჩაიარა. წინასაარჩევნოდ სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევებმა (განსაკუთრებით ქსენოფობიურმა გამონათქვამებმა) სისტემური ხასიათი შეიძინა. აღსანიშნავია, რომ ამგვარი აგრესიული კამპანია შეეხო არამხოლოდ საზოგადოების სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფებს, არამედ ადამიანის უფლებებზე მომუშავე სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებსაც, რომლებზეც იერიში საკუთრივ მაღალი პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირებმა მიიტანეს.[2] განსაკუთრებით შემაშფოთებელი იყო უფლებადამცველებისათვის ინფორმაციის წყაროს გამჟღავნების მოთხოვნის წაყენება პროკურატურის მხრიდან.[3] ამგვარი რიტორიკა და დამოკიდებულებები თავისთავად საფრთხეს უქმნის პლურალისტული გარემოს არსებობას და გზას უხსნის ძალადობრივი ფონის გაძლიერებას საზოგადოებაში, განსაკუთრებით განსხვავებული შეხედულებებისა და იდენტობის მქონე პირების წინააღმდეგ (რასაც მოწმობს თავდასხმა პოლიტიკურ ოპონენტებზე, მომძლავრებული ჰომოფობია, გურამ კაშიას წინააღმდეგ აგორებული კამპანია და ა.შ.).

შემაშფოთებელია კანონის უზენაესობის პრინციპის უგელებელყოფის ფაქტები (ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის გამოძიება, "ომეგა ჯგუფის" საქმე, "შავი ზღვის უნივერსიტეტის" საქმე) რაც შერჩევითი სამართლისა და ელიტური კორუფციის არსებობაზე მიუთითებს. ამავდროულად, სერიოზულ კრიტიკას იმსახურებს მეზობელ არადემოკრატიულ ქვეყნებთან მიმართებით პოლიტიკური ლოიალურობის გამოჩენის მიზნით ადამიანის უფლებათა დარღვევაში სახელისუფლებო ორგანოების მონაწილეობის ნიშნები.

საბოლოო ჯამში საქართველო ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით ჯერ კიდევ მრავალი გამოწვევის წინაშე დგას და შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 2017 წელთან შედარებით საქართველოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობა გაუარესებულია. განხორციელებული პოზიტიური ცვლილებები ფრაგმენტულია და რიგ შემთხვევაში დამოკიდებულია კონკრეტული უწყების პოლიტიკურ ნებაზე, შეცვალოს სისტემა უკეთესობისაკენ, ვიდრე ერთიან სახელმწიფო პოლტიკაზე. დემოკრატიის „მოწყვლადობა" და პოლიტიკური კულტურის დაბალი დონე, ისევე როგორც ძალაუფლების შენარჩუნებისაკენ მუდმივი

[2] იხ. ირაკლი კობახიძს განცხადება http://netgazeti.ge/news/309666/ ; იხ. თეა წულუკიანის განცხადება https://www.radiotavisupleba.ge/a/29558734.html და სამოქალაქო სექტორის პასუხი ხელისუფლების კოორდინირებულ შეტევაზე https://gdi.ge/ge/news/ngos-xelisuflebis-sheteva.page

[3] იხ. სამოქალაქო სექტორის გამოხმაურება ამ ფაქტზე https://gdi.ge/ge/news/arasamtavrobo-organizaciebis-ertoblivi-gancxadeba.page

სწრაფვა აფერხებს სისტემურ და გრძელვადიან შედეგებზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების მიღებას ადამიანის უფლებების სასარგებლოდ.

გამოხატვის თავისუფლება

2018 წელი გამოხატვის თავისუფლების კუთხით მნიშვნელოვანი გამოწვევებით ხასიათდებოდა. ამ პერიოდში დაფიქსირდა გამოხატვის თავისუფლების გაუმართლებლად შეზღუდვის არაერთი ფაქტი, რაც მეტწილად სამართალშემფარდებელი ორგანოების (სასამართლო, პროკურატურა, ა.შ.) მხრიდან კანონების არაკონსტიტუციური განმარტებით, გამოხატვის თავისუფლების დაცვის მიმართ პოლიტიკური ნების არარსებობით და საზოგადოებაში გაბატონებული შეხედულებების გავლენით იყო განპირობებული. ამავდროულად შეინიშნებოდა ამ კუთხით კანონმდებლობის გაუარესების მცდელობებიც.

- „აიისას საქმე“

სასამართლომ პრეზერვატივების მწაროებელ ქართულ კომპანიას - “აიისას”, კონკრეტული გამოსახულებების გამოყენება საჯარო მორალისა და საზოგადოებაში დამკვიდრებული ზნეობრივი წარმოდგენების დაცვის საფუძველზე აუკრძალა. მოსამართლეებმა გადაწყვეტილების მიღებისას უგულებელყვეს კონსტიტუციური სტანდარტები და გადაწყვეტილება თვითნებურად, გამოსაყენებელი ნორმებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის არასწორი ინტერპრეტაციის საფუძველზე მიიღეს. **სასამართლომ ჩათვალა, რომ ინდივიდების გამოხატვა უნდა შეიზღუდოს უმრავლესობის/ საზოგადოების კონკრეტული ჯგუფის სუბიექტური აღქმებით და შეხედულებებით რელიგიასა და მორალზე.** ამგვარი ხედვა პირდაპირ ეწინააღმდეგება, როგორც საქართველოს კონსტიტუციას (24-ე მუხლს), ასევე თანამედროვე დემოკრატიულ პრინციპებს.

- „ანი გაჩეჩილაძის საქმე“

2018 წლის 17 მაისს ჰომოფობიის, ტრანსოფობიისა და ბიფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით „აიისას“ დამფუძნებელი, ანი გაჩეჩილაძე „აიისას“ სახელით ჰაერში ცისარტყელის ფერებში შეღებილი, ჰელიუმით გაბერილი პრეზერვატივების გაშვებას გეგმავდა. შსს-ს წარმომადგენლებმა ანი გაჩეჩილაძე ჩანაფიქრის განხორციელებამდე დააკავეს. მას სასამართლომ 100 ლარიანი ჯარიმა დააკისრა წვრილმანი ხულიგნობისათვის. ანი გაჩეჩილაძის უფლებები ამ შემთხვევაშიც გაუმართლებლად შეიზღუდა, იყო თვითნებური და არ ემსახურებოდა რაიმე ლეგიტიმურ მიზანს.

- „ზვიად კუპრავას საქმე“

სასამართლოს სასადილოში მოსამართლის მიმართ გაკეთებული შეურაცხმყოფელი განცხადების გამო ზვიად კუპრავას ბრალი წარედგინა. იგი ბრალდებულია სისხლის სამართლის კოდექსის 366(2)-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. ხსენებული ნორმა ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, მათ შორის თავისუფლების აღკვეთას სასამართლოს უპატივცემულობისათვის, რაც მოსამართლის შეურაცხყოფაში გამოიხატება. საგულისხმოა, რომ ამ ქმედების დასჯადობა მიზნად ისახავს

მართლმსაჯულების განხორციელების, სასამართლო პროცესის მიმდინარეობის ხელშეშლის თავიდან არიდებას, რისი საფრთხეც ამ შემთხვევაში არ არსებობდა. ამავდროულად გასათვალისწინებელია ისიც, რომ მოსამართლეს ეკისრება მის მიმართ გაკეთებული განცხადებების თმენის განსაკუთრებული ვალდებულება, ხოლო გამოხატვის თავისუფლების კონსტიტუციური სტანდარტი იცავს შეურაცხმყოფელ გამოხატვასაც. შესაბამისად, ზვიად კუპრავას მიერ ჩადენილი ქმედება კონსტიტუციურად დაშვებული იყო და მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საფუძველი არ არსებობდა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზვიად კუპრავა ხელისუფლების მიმართ ოპოზიციურად განწყობილი პირია, რაც მის მიმართ სამართლის შერჩევითად გამოყენებაზე შეიძლება მიუთითებდეს.

- „ფადი ასლის საქმე“

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის სარჩელის საფუძველზე ამავე სასამართლოს გადაწყვეტილებით ფადი ასლის მოსამართლის პატივის შელახვის გამო მორალური ზიანის ანაზღაურებისათვის 3 000 ლარის გადახდა დაევალა. აღნიშნული გადაწყვეტილება კი სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა.

საქმე შეეხება საერთაშორისო სავაჭრო პალატის პრეზიდენტის, ფადი ასლის მიერ გაკეთებულ განცხადებას. იგი თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის მიერ მიღებულ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაზე პასუხად ამბობს, რომ ვლადიმერ კაკაბაძე კორუმპირებული მოსამართლეა. თბილისის საქალაქო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა მოსამართლე ვლადიმერ კაკაბაძის სარჩელი და ფადი ასლის მორალური ზიანის ანაზღაურების სახით დაევალა 3 000 ლარის ანაზღაურება. აღნიშნულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით თბილისის საქალაქო სასამართლომ გამოაქვეყნა განცხადება, სადაც მიუთითა, რომ “მოსამართლემ ბიზნესმენის მხრიდან შელახული პატივი და ღირსება აღიდგინა”. თბილისის სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება ძალაში დატოვა. ფადი ასლის განცხადებით, სადავოდ გამხდარი სიტყვები მხოლოდ მისი პირადი მოსაზრება იყო, რაც კონსტიტუციითა და “სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონით აბსოლუტური პრივილეგიითა დაცული.

- პოლიტიკურ ოპონენტებზე თავდასხმის ფაქტები

2018 წლის განმავლობაში პრობლემური იყო განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების გამო ფიზიკური შეურაცხყოფისა და თავდასხმის შემთხვევები. საყურადღებოა სოციალურ ქსელში გამოთქმული კრიტიკული მოსაზრებების გამო “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” დეპუტატის, ბესიკ ქათამაძის მიმართ განხორციელებული თავდასხმა. ასევე ქუთაისის საკრებულოში „ენმ“-ს წევრის, გია უკლებასა და „ქართული ოცნების“ დეპუტატს შორის მომხდარი კონფლიქტი, რისი მიზეზიც, სოციალურ ქსელში გია უკლებას მიერ გაკეთებული კომენტარი გახდა. ამავე პერიოდში კორცხელის ინციდენტიდან თითქმის ორი წლის შემდეგ პირველი ინსტანციის სასამართლომ განაჩენი გამოიტანა და ინციდენტში ბრალდებულ ხუთივე პირს არასაპატიმრო სასჯელი - ჯარიმა შეუფარდა. განსაკუთრებული აგრესიულობით გამოირჩეოდა 2018 წლის წინასაარჩევნო კამპანია, ამ მხრივ აღნიშვნის

ღირსია ახალქალაქში მომხდარი ინციდენტი, სადაც გავრცელებული ინფორმაციით გრიგოლ ვაშაძის საარჩევნო შტაბის წევრებს „ქართული ოცნების“ შტაბის წევრები დაესხნენ თავს. **საქმეში ფიგურირებს „ქართული ოცნების“ დეპუტატი ენზელ მკოიანი, მისი ძმა და შვილი. „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა კი ნაცვლად ძალადობის დაგმობისა, მხარდაჭერა გამოუცხადეს დეპუტატს.**

იმის ფონზე, რომ ამ თავდასხმებში მონაწილე არც ერთ პირს (ჯერ-ჯერობით) არ უგია ადეკვატური პასუხი განხორციელებული ქმედებებისთვის, ხოლო პოლიტიკური ხელისუფლება, ნაცვლად ამგვარი ძალადობის დაგმობისა, ამართლებს მას და მეტიც, საარჩევნო კამპანიას სწორედ მასზე აფუძნებს, საზოგადოებაში განსხვავებული აზრის მიმართ შეუწყნარებლობის მზარდი გამოვლენა (მათ შორის აგრესიული გზებით) არ უნდა იყოს მოულოდნელი. ამის ნათელი მაგალითია გაერთიანებული ოპოზიციის წარმომადგენელზე, თაკო ჩარკვიანზე აეროპორტში განხორციელებული თავდასხმა. რაზეც თბილისის მერმა საპასუხოდ ქართული ანდაზა მოიხმო „რასაც დასთეს, იმას მოიმკი.“

- გამოხატვის თავისუფლების საკანონმდებლო დონეზე შეზღუდვის მცდელობები

ბოლო პერიოდში განსაკუთრებით აქტუალური იყო ისეთი კანონპროექტები, რომლებიც “რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის” გამო ადმინისტრაციული თუ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესების შესაძლებლობას ითვალისწინებდა. ხსენებულ კანონპროექტებს შორის აღსანიშნავია 2013 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ხოლო 2016 და 2018 წლებში პარლამენტის წევრების ინიციატივები, რომელთაც საწყის ეტაპზე საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტიც უჭერდა მხარს. კანონპროექტის ინიციატორები განმარტებით ბარათში პირდაპირ მიუთითებდნენ, რომ ამგვარი კანონის მიღება მიმართული იყო საზოგადოებაში დომინანტური ჯგუფების, მათ შორის საქარათველოს საპატრიარქოს მიმართ არსებული კრიტიკის ჩასახშობად. აღსანიშნავია, რომ თითოეული ინიციატივა წინააღმდეგობაში მოდის, როგორც საქართველოს კონსტიტუციასა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკასთან, ასევე საერთაშორისო სტანდარტებთან და მნიშვნელოვნად აუარესებს უმცირესობათა უფლებრივ მდგომარეობას. ხოლო ადამიანის უფლებათა კომიტეტის მხრიდან მისი მხარდაჭერა საკუთარი მანდატისა და პასუხისმგებლობის არასწორ გააზრებაზე მეტყველებს.

შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება

მიუხედავად ამ უფლებით სარგებლობის განსაკუთრებული მნიშვნელობისა, ბოლო პერიოდში დაფიქსირდა მისი შეზღუდვის რამდენიმე მცდელობა/ფაქტი, როგორც საკანონმდებლო დონეზე, ისე პრაქტიკაში. მათ შორის აღნიშვნის ღირსია “შეკრებებისა და მანიფესტაციების” შესახებ საქართველოს კანონში ინიცირებული ცვლილებები, რომლითაც გაფართოვდა იმ პირთა წრე, რომლებიც ვერ ისარგებლებენ აღნიშნული უფლებით. ასევე

ხაზგასასმელია 2018 წლის სექტემბერს თბილისში პოლიციელთა მიერ მშვიდობიანი მანიფესტაციის მიმდინარეობაში უხეში ჩარევის შემთხვევა, 2018 წლის მაისში კლუბ ბასიანის წინააღმდეგ ჩატარებული სპეცოპერაცია და სხვა.

- "შვილმოკლული მამების" აქცია

საპატრულო პოლიცია, ეროვნული კანონმდებლობის სრული დარღვევით, აქციის მონაწილეებს კარვის გაშლის შესაძლებლობას პერმანენტულად არ აძლევდა, რითიც უხეშად ერეოდა მათ კონსტიტუციურ უფლებაში.

საქმე ეხება ზაზა სარალიძისა და მალხაზ მაჩალიკაშვილის მიერ ორგანიზებულ აქციებს, რომლებიც ხელისუფლებისგან მათი შვილების მკვლელობის ფაქტების სათანადო გამოძიებასა და დამნაშავეების დასჯას მოითხოვდნენ. მათ პოლიციელებმა არ მისცეს კარვების გაშლის შესაძლებლობა. დაფიქსირდა პოლიციის მხრიდან აქციის მონაწილეთა მიმართ ფიზიკური ძალის გამოყენების და ავტომანქანის ჩხრეკის შემთხვევებიც, რა დროსაც მათ აქციის მონაწილეებს ჩამოართვეს კარვები და სხვა ნივთები.

აღსანიშნავია, რომ სამართალდამცავების ქმედება წინააღმდეგობაში მოდის როგორც საერთო სასამართლოების, ასევე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკასთან. ამავდროულად პოლიციელთა ქმედება ეწინააღმდეგება OSCE / ODIHR-ის სახელმძღვანელო მითითებებს.

გასათვალისწინებელია, რომ აქციის მონაწილეებმა უფლებით სარგებლობა მხოლოდ მას შემდეგ შეძლეს, რაც აღნიშნული ფაქტი არასამთავრობო ორგანიზაციებმა პარლამენტის შენობის წინ კარვების დადგმით გააპროტესტეს (რასაც ასევე არ ჩაუვლია პოლიციელების მხრიდან წინააღმდეგობის გარეშე).

- სპეცოპერაცია კლუბ ბასიანის წინააღმდეგ

თბილისის მასშტაბით ერთდროულად რამდენიმე ღამის კლუბში სპეცრაზმმა ძალის სადემონსტრაციოდ მასშტაბური სპეცოპერაცია მოაწყო, რომელიც სამინისტროს მიერ გავრცელებული პოზიციის მიხედვით, ნარკორეალიზატორთა დაკავებას ისახავდა მიზნად.

2018 წლის 12 მაისს, შუაღამეს თბილისის მასშტაბით განხორციელდა უპრეცედენტოდ მასშტაბური სპეცოპერაცია. სამართალდამცავთა მხრიდან არაპროპორციული ძალის გამოყენებაზე საუბრობდა არა მხოლოდ ადგილობრივი ტელევიზია თუ არასამთავრობო სექტორი, არამედ სხვადასხვა საერთაშორისო საინორმაციო პლატფორმაც. მასშტაბური სპეცოპერაციით უკმაყოფილო ადამიანებმა ბასიანის მიმდებარე ტერიტორიაზე სპონტანური შეკრება დაიწყეს. მიუხედავად დემონსტრატთა მრავალრიცხოვნებისა, პოლიციელებმა მათ გზის სავალი ნაწილის დაკავების უფლება არ მისცეს. საბოლოოდ, პოლიციამ მოახერხა შეკრების მონაწილე ჯგუფების იზოლაცია და დაშლა. სპეცოპერაციისა და სამართალდამცველთა ქმედებების კანონიერებისა და კონსტიტუციურობის შესწავლისას გამოიკვეთა არაერთი პრობლემა, მათ შორის სპეცოპერაციის განხორციელების

აუცილებლობის არარსებობა[4], გამოყენებული ძალის არაპროპორციულობა, მშვიდობიან შეკრებაში მონაწილოების უფლების შეზღუდვა და ა.შ

- ❖ ბასიანის სპეცოპერაციის პასუხად გამართული მანიფესტაცია

შინაგან საქმეთა მინისტრმა მშვიდობიან დემონსტრანტებს აქციის დაშლისკენ მოუწოდა, მაშინ, როდესაც სულ რამდენიმე მეტრის მოშორებით ძალადობრივი მოტივით გამართული კონტრაქციის წევრები პოლიციის კორდონის გარღვევას ცდილობდნენ.

ბასიანის ინციდენტის შემდეგ პარლამენტის წინ მოეწყო მასობრივი დემონსტრაციები, სადაც შეკრებილები აპროტესტებდნენ სახელმწიფოს რეპრესიულ ნარკოპოლიტიკას და 12 მაისს სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძალის არაპროპორციულ გამოყენებას. პარარელურად, ნეონაცისტური იდეოლოგიის მქონე ჯგუფების მიერ მოეწყო კონტრაქცია, სადაც დემონსტრანტები სიძულვილის ენის გამოყენებით, აგრესიული ქმედებების განხორციელებით ემუქრებოდნენ პარლამენტის წინ შეკრებილებს და მათ ნარკოდილერობაში და "ლგბტ პროპაგანდაში" ადანაშაულებდნენ. ვითარების დასტაბილურების მოტივით შსს-ს მინისტრი გიორგი გახარია სიტყვით გამოვიდა პარლამენტის წინ შეკრებილ დემონსტრანტებთან და შეკრებილებს ბასიანის თითოეულ ინციდენტზე რეაგირებასა და ნარკოპოლიტიკის შეცვლას დაპირდა, ხოლო სანაცვლოდ მათ აქციის მშვიდობიანად დაშლისკენ მოუწოდა. ამდენად, აგრესიულად განწყობილი კონტრაქციის მონაწილეების დაკავების ნაცვლად, შსს-მ მშვიდობიანად შეკრებილ ასობით დემონსტრატს სთხოვა დაშლა, რომლებიც საბოლოოდ ავტობუსებით მოარიდეს ტერიტორიას.

- ❖ არაკონსტიტუციური კანონმდებლობა

საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლითაც ცვლილებები შევიდა „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონში და კანონმდებლობის კონსტიტუციის ახალ რედაქციასთან ჰარმონიზაციის მიზნით დაზუსტდა იმ პირთა წრე, რომლებიც იგულისხმებიან "თავდაცვის ძალების ან სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანოების შემადგენლობაში". აღნიშნული ცვლილებებით პირთა წრე, რომლებზეც არ ვრცელდება შეკრება/მანისფესტაციის უფლება, მნიშვნელოვნად გაფართოვდა და შეზღუდვის ფარგლებში ფაქტობრივად მოექცნენ სამოქალაქო პირებიც, რომლებიც მართალია მუშაობენ ზემოხსენებულ უწყებებში, თუმცა ასრულებენ ადმინისტრაციულ ან სხვა ისეთი სახის ფუნქციას, რომელსაც არ აქვს შემხებლობა საზოგადოებრივი თუ სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვასთან.

---

[4] სპეცოპერაციის შემდგომი განმარტებების თანახმად, იგი ემსახურებოდა ნარკოტიკული საშუალებების აღმოჩენასა და ნარკორეალიზატორთა დაკავებას, მართალია აღნიშნული ბრალდებით მართლაც დააკავეს რვა ადამიანი, თუმცა ნიშანდობლივია, რომ ამ ადამიანების დაკავება არ მომხდარა ბასიანის სპეცოპერაციისას- არამედ კლუბის ტერიტორიის გარე, სპეცრაზმელთა კლუბებში შეჭრამდე.

შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლებით სათანადოდ სარგებლობას ხელს უშლის ასევე 1984 წელს მიღებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, რომელიც არ შეიცავს საკმარის საპროცესო გარანტიებს და იძლევა მისი თვითნებურად გამოყენების შესაძლებლობას, განსაკუთრებით მანიფესტაციის მონაწილეთა წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ წლებია მთავრობას დაანონსებული აქვს კოდექსის სისტემური გადასინჯვა, აღნიშნული ჯერ კიდევ არ განხორციელებულა. მეტიც, ამ პერიოდში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებისათვის გათვალისწინებული სანქციები გამკაცრდა.

საარჩევნო უფლება

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნები (განსაკუთრებით მეორე ტურის წინა საარჩევნო პერიოდი) მნიშნელოვანი დარღვევების ფონზე ჩატარდა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ამომრჩეველთა სხვადასხვა ფორმით მოსყიდვისა და ზეწოლის შემთხვევები, ასევე ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება წინასაარჩევნო პერიოდში და ძალადობრივი ინციდენტები. ეუთოს სადამკვირვებლო მისია წინასწარ დასკვნაში ხაზს უსვამს სწორედ ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების გაზრდილ მასშტაბს, რომელმაც "წაშალა ზღვარი პარტიასა და სახელმწიფოს შორის". ამავდროულად მნიშვნელოვანია ის უსაფუძვლო უპირატესობა, რომლითაც ერთი მხარე სარგებლობდა. ორივე მხარის ნეგატიურმა საარჩევნო კამპანიამ კი საფრთხის ქვეშ ჩააყენა მთლიანად საარჩევნო პროცესი. ეუთო ასევე მიუთითებს, რომ საზოგადოებრივმა მაუწყებელმა არ შეასრულა სარედაქციო პოლიტიკის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ვალდებულება. პრობლემური იყო ასევე მეორე ტურთან დაკავშირებით საკმარისი სამართლებრივი რეგულაციების არარსებობა. დაფიქსირდა ასევე ამომრჩეველთა პირადი ინფორმაციის შეგროვებისა და მათ თავისუფალ ნებაზე ზეგავლენის შემთხვევები.

თანასწორობა

მიუხედავად იმისა, რომ როგორც საკანონმდებლო, ისე პოლიტიკის დონეზე სახელმწიფო აღიარებს თანასწორობის პრინციპის დაცვასა და დისკრიმინაციის აკრძალვას, ამ მიმართულებით კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება უმცირესობათა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება და ტოლერანტული გარემოს შექმნა. სახელმწიფო ხშირ შემთხვევაში თავად გვევლინება სიძულვილის, განსხვავებული შეხედულებების მქონე ადამიანთა ჩაგვრის და შეუწყნარებლობის წამქეზებლად, ამავდროულად კი არ დგამს საკმარის პოზიტიურ ნაბიჯებს საზოგადოებრივი ცნობიერების ასამაღლელად და პლურალიზმის ხელშეწყობის მიზნით. მათ შორის აღნიშვნის ღირსია ბოლო პერიოდში მომძლავრებული ქსენოფობიური განწყობები, ჰომოფობია, შავი ზღვის უნივერსიტეტის ირგვლივ მიმდინარე მოვლენები და სხვა. აქვე უნდა აღინიშნოს ის უარყოფითი

ცვლილებები, რაც რამდენიმე დღეში კონსტიტუციის ახალი რედაქციით ამოქმედდება (სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე უცხოელების საკუთრების უფლების შეზღუდვა, ქორწინების დეფინიცია).

- საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციით უფლებრივი მდგომარეობის გაუარესება რიგი მიმართულებებით

კონსტიტუციის ახალი რედაქციის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ქორწინება არის ქალისა და მამაკაცის კავშირი ოჯახის შექმნის მიზნით. აღსანიშნავია, რომ ამგვარი ჩანაწერის გაკეთება კონსტიტუციაში "ქართული ოცნების" ერთ-ერთი ძირითადი წინასაარჩევნო დაპირება იყო, თუმცა იგი მანამდეც განიხილებოდა პოლიტიკურ სივრცეში. ცვლილებები, რომელიც შინაარსობრივად ქვეყნის უზენაესი კანონით უსპობს ლგბტქი პირთა უფლებების შესაძლო გაფართოებას სამომავლოდ, ავტორთა თვალთახედვით გამართლებულია ქვეყანაში ჰომოფობიური განწყობების შესამცირებლად. გასათვალისწინებელია, რომ იმის ნაცვლად, რომ ხელისუფლება ცდილობდეს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლას და პრაქტიკაში უმცირესობათა უფლებების დაცვის ეფექტურობის გაზრადას[5], იგი თავად ამ უმცირესობათა უფლებების შეზღუდვის ხარჯზე ცდილობს ამ პრობლემის მოგვარებას, რაც რა თქმა უნდა, უკუშედეგის მომტანი იქნება.

აღსანიშნავია, რომ ქორწინების განმარტების საკითხი არ დგას საზოგადოების დღის წესრიგში, ვინაიდან კანონმდებლობა ნათლად არეგულირებს სამოქალაქო ქორწინების სამართლებრივ ასპექტებს და, ამდენად, მსგავსი პოლიტიკური აქტივიზმი მხოლოდ და მხოლოდ ლგბტი თემის წარმომადგენელთა მარგინალიზაციას ემსახურება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით უარყოფითი პოზიცია დააფიქსირა ვენეციის კომისიამაც, რომელმაც აღნიშნა, რომ აღნიშნული ჩანაწერის ინტერპრეტაცია არ უნდა მოხდეს იმგვარად, რომ იგი კრძალავდეს ერთი და იმავე სქესის მქონე ადამიანთა პარტნიორობას.[6]

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ასევე იმსახურებს კრიტიკას შეეხება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე საკუთრების უფლებას. კერძოდ კონსტიტუციის ახალი რედაქციით განისაზღვრა, რომ ამგვარი მიწები უცხო ქვეყნის მოქალაქეთა საკუთრებაში მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში შეიძლება იყოს (რომელიც ორგანული კანონით დადგინდება). გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს პარლამენტმა უკვე სამგზის უგულებელყო საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, რომლითაც სასამართლომ უცხო ქვეყნის მოქალაქე საკუთრების უფლების სრულფასოვან

[5] შეგახსენებთ 2013 წლის 17 მაისს განვითარებულ ძალადობრივ მოვლენებს, რომლის მონაწილე არც ერთი პირი ადეკვატურად არ დასჯილა.

[6] CDL-AD(2017)023, Opinion on the Draft Revised Constitution as Adopted by the Parliament of Georgia at the Second Reading on 23 June 2017, Adopted by the Venice Commission at its 112th Plenary Session (Venice, 6-7 October 2017), § 38

სუბიექტად აღიარა და მასზე დაწესებული შეზღუდვები არაკონსტიტუციურად ცნო. ამის საპასუხოდ კი საკონსტიტუციო უმრავლესობამ უკვე ცვლილებების განხორციელება საკუთრივ კონსტიტუციაში გადაწყვიტა, რის გაუქმებასაც საკონსტიტუციო სასამართლო ვეღარ შეძლებს (შესაბამისი მანდატის არარსებობის გამო). საბოლოოდ, მიწაზე საკუთრებასთან დაკავშირებით უცხოელთა საკუთრების უფლება სათანადო მტკიცებულებებისა და საფუძვლის გარეშე მნიშვნელოვნად გაუარესდა. ამავდროულად, მიღებულმა გადაწყვეტილებამ ცხადჰყო საკონსტიტუციო სასამართლოს (მისი გადაწყვეტილებების) მიმართ უპიატივცემულობა და პოლიტიკური თუ სამართლებრივი კულტურის დაბალი დონე.

მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციის ახალი რედაქციით შენარჩუნებულია სეკულარიზმის პრინციპის მნიშვნელობა, იგი პრობლემურია რამდენიმე თვალსაზრისით. კერძოდ, გასათვალისწინებელია, რომ მოქმედი რედაქციისგან განსხვავებით პროექტში არსებული ჩანაწერი განსაკუთრებულ აქცენტს სვამს არა რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებაზე, არამედ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლზე საქართველოს ისტორიაში. ამგვარი ჩანაწერი შესაძლოა საქართველოში სეკულარიზმის პრინციპისა და რელიგიის თავისუფლების კუთხით არსებული გამოწვევებისა და პრობლემების ფონზე[7] გაუმართლებელი პრივილეგიების დაწესების მანიპულაციის საშუალება გახდეს.

- ❖ ქსენოფობია

უკანასკნელ პერიოდში შეინიშნება ქსენოფობიური განწყობების მზარდი ტენდენცია, რომელიც ვლინდება როგორც სახელმწიფოს საიმიგრაციო პოლიტიკაში, ასევე პოლიტიკოსებისა თუ სხვა საჯარო პირების და მედიის მიერ ამ მიმართულებით სიძულვილის ენის გამოყენებასა და ტირაჟირებაში. 2018 წელს საქართველოს სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებში დაფიქსირდა რასისტული და დისკრიმინაციული მოტივებით უცხოელთათვის საზღვროს კვეთაზე უარის თქმის არაერთი ფაქტი. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია ინდოეთის, ნიგერიის და ახლო აღმოსავლეთისა თუ აფრიკის მოქალაქე პირებისათვის.[8]

---

[7] GDI-ს ყოველწლიურ ანგარიშებში არაერთხელ აღუნიშნავს ამ კუთხით არსებულ გამოწვევებზე და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დაუოკებელ სურვილზე, ჩაერიოს სახელისუფლებო ორგანოების საქმიანობაში. (მაგალითად, ჯერ კიდევ 2011 წელს არსებული წინააღმდეგობა და საპროტესტო აქციები სხვა რელიგიური გაერთიანებებისათვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით; ეკლესიის წინააღმდეგობა მათ მსგავსად სხვა რელიგიური გაერთიანებებისათვის საგადასახადო შეღავათების დაწესებასთან დაკავშირებით; უხეში ჩარევა განათლების სისტემაში, საგნის „მე და საზოგადოების“ სკოლებში დანერგვასთან და მის შინაარსთან დაკავშირებით).

[8] უმიზეზოდ დეპორტირებულთა რიგს მიეკუთვნებიან მათ შორის: ინდოეთის მოქალაქე ქუშბუ კაუშალი, მუსლიმური თემის წარმომადგენლები ჯ.ა, ნ.დ და მ.ნ, ნიგერიელი სტუდენტი დევიდ აბუჩი, ფერადკანიანი აჰსან ჰაბიბ გალიბი, თეირანელი ელექტრონული მუსიკის არტისტი აჰუ და ა.შ.

რასისტული და ქსენოფობიური განწყობების გაღვივებაში სამწუხაროდ მნიშვნელოვან როლს თამაშობენ რიგი პოლიტიკური პარტიები და პოლიტიკოსები. ამ მხრივ გამორჩეული იყო წინასაარჩევნო კამპანიის დროს საპრეზიდენტო კანდიდატების, კახა კუკავას, შალვა ნათელაშვილის და სალომე ზურაბიშვილის მიერ გაკეთებული განცხადებები. ქსენოფობიური იდეებით გამოირჩეოდა საქართველოს ექსპრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის მიერ 2018 წლის 31 ივლისს ტელეკომპანია "რუსთავი 2" -ის ეთერში, ხოლო 2018 წლის 31 აგვისტოსა, 1 და 9 სექტემბერს საკუთარ "ფეისბუქ" გვერდზე, ასევე 2018 წლის 4 და 18 ნოემბერს გაკეთებული განცხადებებიც, რომლებშიც იგი ღარიბ ტურისტებზე საუბრისას ხაზს უსვამს მათ ეთნიკურ წარმომავლობას და აპელირებს იმაზე, რომ ასეთი ადამიანების ვიზიტი სახელმწიფო ინტერესებს ეწინააღმდეგება. მისი ერთ-ერთი ბოლო განცხადება კი ანტისემიტისტურად შეფასდა.

ამავდროულად 2018 წლის განმავლობაში გამოვლინდა ფერადკანიანებზე თავდასხმის შემთხვევებიც. მათ შორის დაფიქსირდა 2018 წლის 30 ნოემბერს რუსთავში ფერადკანიანი პირის ფიზიკური შეურაცხყოფის და 8 აპრილს ბელიაშვილის ქუჩაზე ფერადკანიან სტუდენტებზე თავდასხმის ფაქტები.

- „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის" საქმე

IBSU-სთან დაკავშირებით გადაწყვეტილება „ჩაღლარის" საგანმანათლებლო დაწესებულებების უფლებების დარღვევის ტენდენციის გაგრძელებაა, ხოლო შემოსავლების სამსახური უცხოური ინვესტიციის მიმართ დისკრიმინაციულ მოპყრობას ავლენს და იგი ხელისუფლების მხრიდან მეზობელ ქვეყანასთან პოლიტიკური ურთიერთობის დასალაგებელ ინსტრუმენტად გამოიყენება.

2017 წელს IBSU-ს წილების გაყიდვის შესახებ უნივერსიტეტის პარტნიორების მიერ სამეწარმეო რეესტრისათვის მიმართვიდან[9] ერთ დღეში შემოსავლების სამსახურმა უნივერსიტეტის წინააღმდეგ, ბიუჯეტის მიმართ დაახლოებით 1.5 მლნ ლარის დავალიანების საკითხთან დაკავშირებით სამართლებრივი დავა წამოიწყო და როგორც უნივერსიტეტის ქონების, ასევე მისი დამფუძნებელი კომპანიების და ამ დამფუძნებელთა პარტნიორების წილების დაყადაღება მოითხოვა, რაც სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა. საქმეში არსებული მასალების გამოკვლევით გამოიკვეთა, რომ შეზღუდვების შენარჩუნების საფუძველი არ არსებობდა, მითუმეტეს მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტმა ბიუჯეტში არსებული საგადასახადო დავალიანება სრულად დაფარა. შემოსავლების სამსახურმა მხოლოდ 2018 წლის ოქტომბერში გადაწყვიტა სარჩელის უკან გახმობა დავის გაგრძელების კანონიერი ინტერესი არ არსებობის გამო (რამაც ყადაღის მოხსნაც გამოიწვია).

ამ პერიოდში კი მიუხედავად ექსპერტთა ჯგუფის მიერ უნივერსიტეტის ავტორიზაციის სტანდარტების დადებითად შეფასებისა, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების

[9] აღსანიშნავია, რომ სამეწარმეო რეესტრში აღნიშნული რეგისტრაცია, კანონიერი საფუძვლის გარეშე გაჭიანურდა, რამაც შემდგომში წილის გასხვისება შეუძლებელი გახადა

ავტორიზაციის საბჭომ 2018 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილებით უნივერსიტეტს სტუდენტების მიღების უფლება 1 წლის ვადით შეუზღუდა , საფუძვლად კი მიეთითა სახელმწიფოს წინაშე არსებული საგადასახადო დავალიანება და მთლიან ქონებაზე ყადაღის არსებობა. საგულისხმოა, რომ სააპელაციო საბჭომ 2018 წლის ოქტომბერში დააკმაყოფილა უნივერსიტეტის საჩივარი და ავტორიზაციის საბჭოს საქმის ხელახლა განხილვა დაევალა. ამ უკანასკნელმა კი უნივერსიტეტს ექვსწლიანი ავტორიზაცია მიანიჭა პირველკურსელთა მიღების უფლების ჩათვლით.

აღნიშნულ საქმესთან კავშირში გასათვალისწინებელია ბოლო პერიოდში ჩაღლარის ქსელის საგანმანათლებლო დაწესებულებების (შაჰინის სკოლა ბათუმში, დემირელის სახელობის სკოლა თბილისში) დახურვისა და საქმიანობისთვის ხელშეშლის ტენდენცია, რაც განსაკუთრებით მუსტაფა ემრე ჩაბუქის ექსტრადიციის საქმის კონტექსტში, სწორედ თურქეთის მთავრობის მიმართ გაუმართლებელი ლოიალობის გამო საქართველოს ხელისუფლების მიერ ადამიანის უფლებების უგულებელყოფისა და დარღვევის ეჭვებს ქმნის. ამ კუთხით ნიშანდობლივია, საქართველოში თურქეთის ელჩის მიერ გაკეთებული განცხადება, რომელშიც ის უკმაყოფილებას გამოხატავს საქართველოში ჩაღლარის ქსელის უნივერსიტეტის ფუნქციონირების ფაქტთან დაკავშირებით.

- ❖ აგრესია ჰომოფობიურ ნიადაგზე

2018 წელს მიმდინარე მოვლენებმა აჩვენა, რომ საზოგადოებაში კვლავ მწვავე პრობლემად დგას განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის მქონე ადამიანების და მათი მხარდამჭერების მიმღებლობა.

გასული წლის ოქტომბერში გურამ კაშიას მიერ, საფეხბურთო მატჩის დროს, ლგბტ სიმბოლიკის ამსახველი სამკლაურის გაკეთებას, საზოგადოებისა და ექსტრემისტული დაჯგუფებებისა, თუ რიგი პოლიტიკური პარტიების მხრიდან აგრესიის შემცველი ჰომოფობიური განცხადებები და ქმედებები მოჰყვა. 2018 წლის 22 აგვისტოს UEFA-მ დააწესა ახალი ჯილდო #EqualGame, რომელიც, პირველად გურამ კაშიას გადაეცა ლგბტ პირთა მიმართ გამოხატული სოლიდარობისთვის. აღნიშნულმა ჟესტმა კი აგრესიის ახალ ტალღას მისცა ბიძგი. განსაკუთრებული აგრესიით გამოირჩეოდნენ მოძრაობა “ქართული მარშის” წევრები, რომლებიც დაიმუქრნენ, რომ 2018 წლის 9 სექტემბერს, "დინამოს" სტადიონზე, საქართველოსა და ლატვიის საფეხბურთო ნაკრებებს შორის გასამართ მატჩზე ლგბტ სიმბოლიკის შეტანას არ დაუშვებდნენ. აღნიშნულის ფონზე კი სამართალდამცავებმა თავადვე დააწესეს ცენზურა ლგბტ სიმბოლიკაზე, მატჩზე მისულ მხარდამჭერებს ძალის გამოყენებით ჩამოართვეს ამგვარი ნივთები და სტადიონზე შეტანის საშუალება არ მისცეს. ამგვარი ქმედება კი ცალსახად ახალისებს ნეოფაშისტური დაჯგუფებების ძალადობრივ საქმიანობას საქართველოში.

კანონის უზენაესობა

განსაკუთრებით შემაშფოთებელია ადამიანის უფლებების დარღვევის ის ფაქტები, რომელშიც ხელისუფლების სხვადასხვა სტრუქტურა სავარაუდოდ თავად არის მონაწილე. ამ მხრივ საგანგაშოა მეზობელი ქვეყნებისათვის მიუღებელი პირების გატაცებებისა და დაკავების შემთხვევები, ასევე ერთი წლის წინ ხორავას ქუჩაზე მომხდარ ფაქტზე არასათანადო გამოძიების წარმოება, რამაც საბოლოო ჯამში შექმნა დაუსჯელობის და შერჩევითი სამართლის, ისევე როგორც უსამართლო მართლმსაჯულების სისტემის არსებობის განცდები.

- აფგან მუხთარლის და შეიხი მირტაგი ასადოვის საქმეები

აზერბაიჯანიდან დევნილი ჟურნალისტი და აქტივისტი აფგან მუხთარლი 2017 წლის მაისში თბილისიდან ბაქოში გაურკვეველ ვითარებაში გაიტაცეს. გამოძიების მიმდინარეობისას იდენტიფიცირებულია სერიოზული ხარვეზები და არსებობს საფუძვლიანი ეჭვები იმასთან დაკავშირებით, რომ ორგანიზებულ დანაშაულში საქართველოს სამართალდამცავი ორგანოებიც მონაწილეობდნენ. მიუხედავად არასამთავრობო ორგანიზაციების თუ სხვა აქტორების მოწოდებებისა, ამ დრომდე გამოძიების პროგრესის შესახებ ინფორმაცია არაა ცნობილი. საქართველოს მთავრობის მიერ აზერბაიჯანის ხელისუფლების მიმართ გამოვლენილი პოლიტიკური ლოიალურობის და ამგვარ ფაქტებში სახელისუფლებო ორგანოების მონაწილეობასთან დაკავშირებული ეჭვები კიდევ უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც 2018 წლის 7 ნოემბერს საქართველოს მოქალაქე შეიხი მირტაგი ასადოვი აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვრის გადაკვეთისთანავე დააკავეს. დაკავების პროცესი და მას შემდეგ განვითარებული პროცედურები კი მნიშვნელოვანი დარღვევებით განხორციელდა. აღნიშნულის ფონზე სერიოზული საფრთხის ქვეშ არიან აზერბაიჯანიდან საქართველოში დევნილი სხვა პირებიც.

- ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობა

2017 წლის 1 დეკემბერს თბილისში, ხორავას ქუჩაზე ორი ახალგაზრდის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით არსებული კითხვები ამ დრომდე პასუხგაუცემელია. მიუხედავად საქმეში დაფიქსირებული არაერთი არსებითი დარღვევისა, რაც საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის მიერ წარმოებული დაკითხვებისა და მიღებული დასკვნითაც გამოიკვეთა, საქმის გამოძიებასთან კავშირში მყოფი პირების ქმედებებში დანაშაულის ნიშნების შესასწავლად გამოძიება ამ დრომდე არ დაწყებულა.

- ელიტური კორუფცია

2018 წლის სექტემბერში საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა სავარაუდო კორუფციულ გარიგებებში თანამდებობის პირების მონაწილეობის არაერთი შემთხვევის შესახებ. განსაკუთრებით აღსანიშნავია „ომეგა ჯგუფისა“ და ტელეკომპანია „იბერიას“ საქმიანობასთან დაკავშირებით გასაჯაროებული მასალები, რომლებიც მძიმე კორუფციული დანაშაულის

ნიშნებს შეიცავს, სავარაუდოდ, ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირების მონაწილეობით. სამწუხარდ, ქმედითი ნაბიჯები არც ამ მიმართულებით არ გადადგმულა.